ქართულ-ამერიკული ურთიერთობა

ციფრებით დანახული ქართულ-ამერიკული ურთიერთობები 2014-2019 წლებში

თამარ შენგელია

თსუ დოქტორანტი

საქართველოში პროექტებს ახორციელებს ათეულობით უცხო ქვეყანა თუ ფონდი, რომელთა საქმიანობის არეალი ფართო და მრავალფეროვანია. პროექტების უმრავლესობას ქვეყნის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. უცხოურ ქვეყნებს შორის კი ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითი მასშტაბი აშშ-ს უკავია. მაგალითისთვის მოვიყვანოთ თუნდაც გასული წლის ციფრები – აშშ-ს ქართულ ექსპორტში, 2019 წლის მიხედვით, 3.5%-იანი წილით – მეცხრე, ხოლო იმპორტის კუთხით, 4.3%-იანი წილით, მეშვიდე ადგილი უჭირავს. 2019 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში 1 მილიარდ 268 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების წილი საკმაოდ მოზრდილი გახლდათ – 99 მილიონ დოლარს აღემატებოდა (წყარო: საქსტატი). თავდაპირველად, ამერიკულ გრანტებზე საუბარი დაიწყო 1990-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დატოვების შემდეგ, და მას შემდეგ აშშ-ის გრანტების წილი დიდია ქვეყნისთვის. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს დამოუკიდებლობა 1991 წლის 25 დეკემბერს ცნო, ხოლო დიპლომატიური ურთიერთობა 1992 წელს დამყარდა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამერიკული გრანტების როლის კვლევა ახალი თემატიკაა და არ მოიპოვება ბევრი დასაბუთებული მასალა მის ქმედუნარიანობასა და სარგებლიანობაზე. ერთის მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციების გასააქტიურებლად დაბანდებული ინვესტიცია შესაძლოა გამოყენებულ იქნას საპირისპიროდაც და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან არასწორად იყოს მოხმარებული უცხოეთიდან გამოყოფილი აქტივები. კანონში მოცემულია, რომ გრანტის გაცემის სამართლებრივი საფუძველია წერილობითი ხელშეკრულება გრანტის გამცემსა (დონორსა) და გრანტის მიმღებს შორის. ამასთანავე, ხელშეკრულება აუცილებლად უნდა შეიცავდეს გრანტის გაცემის მიზანს, მოცულობას, სახსრების გამოყენების კონკრეტულ მიმართულებას, მათი ათვისების ვადებს და იმ ძირითად მოთხოვნებს, რომლებსაც გრანტის გამცემი უყენებს გრანტის მიმღებს. გრანტების მიღების წესთან დაკავშირებით დამატებით განსაზღვრულია, რომ უცხო სახელ-

მწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს ყოველწლიურად.[1]

წარმოდგენილი საკანონმდებლო რეგულაციის მიუხედავად, არც „საქართველოს კანონი გრანტების შესახებ" და არც სხვა რეგულაციები ავალდებულებს არასამთავრობო ორგანიზაციებს პროაქტიურად წარმოადგინონ ზემოაღნიშნული ინფორმაცია, რაც არ ქმნის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალ სტანდარტს. შესაძლოა, რომ სწორედ ესეც არის არასამთავრობო სექტორის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებაში ხელის შემშლელი ფაქტორი. საქართველოს კანონმდებლობით საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობის შეჩერება ან მისი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასამართლოს შეუძლია, აკრძალოს საზოგადოებრივი გაერთიანება, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის თუ ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება. საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან მისი ლიკვიდაცია შეიძლება სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე.[2]

ფინანსების გამჭვირვალობის კარგ პრაქტიკად შეგვიძლია ავიღოთ ამერიკა, მაგალითად: ამერიკის შეერთებული შტატებში მოქმედებს „უცხოელის წარმომადგენლის რეგისტრაციის აქტი" (Foreign Agents Registration act[3]), რომელიც უცხო ქვეყნიდან დაფინანსების ან სხვა ფასეულობის მიღების შემთხვევაში უცხო პირის წარმომადგენელს ავალდებულებს, დარეგისტრირდეს იუსტიციის დეპარტამენტში და დადგენილი წესით შეავსოს სათანადო ფორმები, სადაც მოხდება დეტალური ინფორმაციის წარმოდგენა მიღებული შემოსავლებისა თუ დანახარჯების თაობაზე.

---

[1] გრანტების მიღების წესთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს დადგენილება №219 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2001875?publication=0

[2] საქართველოს ორგანული კანონი საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29950?publication=2

[3] The United States department of justice, Foreign Agents Registration Act. https://www.fara.gov/

მაგალითად, USAID-ის ვებგვერდებზე შესაძლებელია მრავალფეროვანი ინფორმაციის მიღება, ორგანიზაციის ბიუჯეტის, აქტივობების, პარტნიორებისა თუ ორგანიზაციის საქმიანობის სხვა დეტალების შესახებ. იქვე მარტივად იხილავთ ინფორმაციას საგრანტო კონკურსების, დაფინანსებული პროექტების, ვადებისა და პროგრამების შესახებ. თუმცაღა, სხვა ამერიკული ფონდების შემთხვევაში, საგულისხმოა, რომ მათ მიერ განხორციელებული საქმიანობების შესახებ ინფორმაცია ვებგვერდებზე ხშირად არასრულადაა წარმოდგენილი, რაც სრულყოფილი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას არ გვაძლევს. კარგი მმართველობა კი საზოგადოებისთვის ინფორმაციის თავისუფალ ხელმისაწვდომობას, მოქალაქეების პროაქტიურ ინფორმირებას გულისხმობს და მის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს კი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. საქართველოში უცხო ქვეყნის სახელმწიფო გრანტების მიღება, ქვეყნის დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების მხარდაჭერასთან ერთად, საგულისხმო გამოწვევებთან არის დაკავშირებული. არსებული გარემოს მნიშვნელოვნად გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია, დაინერგოს გარკვეული მოდელები გრანტების გასაკონტროლებლად, რაც ხელს შეუწყობს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დამკვიდრებას, დემოკრატიის განმტკიცებასა და გამჭვირვალობის სტანდარტების გაუმჯობესებას. მაგალითად, საქართველოში საზღვარგარეთიდან დაფინანსებული რეგისტრირებულ არასამეწარმეო იურიდიულ პირთა ერთიანი ბაზა უნდა შეიქმნას რეესტრში და მათ კანონმდებლობით უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა, რეესტრში წარადგინონ საქართველოს გრანტების შესახებ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია.[1] დოკუმენტაცია უნდა იყოს გამჭვირვალე, ასევე, ზემოხსენებული ინფორმაცია – საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი პირისათვის. ამერიკული კომპანიები საქართველოში ყველაზე მეტად დაინტერესებული არიან ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურული პროექტების, რკინიგზის მიმართულებით და სამომხმარებლო ბაზრით. ქართულ ბაზარზე ამერიკული ინვესტორი კომპანიებიდან შეგვიძლია გამოვყოთ: Acrow Bridge, Baron Weather, Bechtel, Budget, Coca-Cola, Lockheed Martin, Miyamoto International, MWH, Nova Power, Obie Technologies, The Greenbrier, and VISA.

"CRS"-ის მონაცემებით, ევროპისა და ევრაზიის ქვეყნებს შორის, საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო და სამხედრო დახმარების მიმღები წამყვანი ქვეყანაა. კორი უელტის ანგარიშში – „საქართველო: ფონი და შეერთებული შტატების პოლიტიკა", ორი ქვეყნის ურთიერთო-

[1] საქართველოს გრანტების შესახებ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/31510?publication=29

ბების თითქმის ყველა ასპექტია მიმოხილული. კორი უელტი "CRS"-ის ევროპის საქმეთა სპეციალისტია. მან თავის ანგარიშში განიხილა საქართველოს უახლოესი წარსული, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები. იგი ანგარიშში ასევე საუბრობს რუსული ოკუპაციის შესახებ, ფართო სპექტრში მიმოიხილავს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან კავშირსა თუ თანამშრომლობას. $4 348 400 000 – ეს არის ფინანსური დახმარების ოდენობა, რომელიც საქართველომ, ზოგადად, აშშ-ისგან 28 წლის განმავლობაში მიიღო. 1992-2020 წლის ჩათვლით, დახმარების სახით სხვადასხვა მიზნისთვის გამოყოფილი ფინანსების შესახებ, „კონგრესის კვლევითი სამსახურის" ანგარიშშია საუბარი. 2018 წელს საქართველომ ამერიკისგან, არასამხედრო მიზნებისთვის, $70.8 მილიონი მიიღო. 2019 წელს, ამერიკის კონგრესმა, არასამხედრო მიზნებისთვის, საქართველოს $89.8 მილიონი გამოუყო. 2020 ფისკალური წლისთვის, ასევე არასამხედრო მიზნებისთვის, პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საქართველოსთვის $42.4 მილიონი მოითხოვა. წარმომადგენელთა პალატის და სენატის საფინანსო კომიტეტმა რეკომენდებულ თანხად $89.8 მილიონი, გაორმაგებული დახმარება განსაზღვრა. საგულისხმოა, 2008-2009 წლებში რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების გადასალახავად ამერიკის მიერ დამატებით გამოყოფილი 1.4 მილიარდი დოლარი, საიდანაც, მაგალითად, ჰუმანიტარული და გადაუდებელი დახმარებისათვის გამოიყო 38 მილიონი დოლარი. ბოლო პერიოდის ქმედუნარიან პროექტებში გამოვარჩევდი „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" განხორციელებულ აქტივობებს და სტატიაში დაწვრილებით ვისაუბრებ 2014-2019 წლების დახმარებაზე. ახლა კი მოკლედ მიმოვიხილოთ მისი ადრეული საქმიანობაც. „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" ფონდისათვის დონორების მხრიდან, ბრიუსელის კონფერენციის გადაწყვეტილებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცნობით, აკუმულირებულ იქნა შემდეგი თანხები: აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციიდან სამცხე-ჟავახეთის გზების მშენებლობისათვის (2009-2010 წლებისათვის) – 60 მლნ აშშ დოლარი, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის პროექტებისათვის (2008-2011 წლებისათვის) – 26 მლნ აშშ დოლარი, ენერგეტიკული მიზნებისათვის (გაზის საცავის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები) (2008-2010 წლებისათვის) – 13 მლნ აშშ დოლარი, ამ პროგრამის ადმინისტრირებისა და ტექნიკური დახმარებისათვის (2008-2011 წლებისათვის) – დამატებით 1 მლნ აშშ დოლარი (ანუ სულ 14 მლნ აშშ დოლარი).[1] ზოგადად აღსანიშნავია, რომ

[1] Policy Paper Nr. 17 ანგარიშები, ანალიზი, რეკომენდაციები ბრიუსელის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ფარგლებში. დონორთა ფინანსური დახმარების ასახვა საქართველოს 2008 და 2009 წლების სახელმწიფო ბიუჯეტებში. ანგარიში მომზადდა კოალიცია

ბოლო პერიოდში არაერთი ამერიკული საწარმო დარეგისტრირდა ქართულ ბაზარზე და ამერიკელი ბიზნესმენების ყურადღება საქართველოს მიმართ მატულობს ბოლო ათწლეულებში. ცნობისთვის, საქსტატის მონაცემების თანახმად (2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით), საქართველოში აშშ-ის კაპიტალის მონაწილეობით სულ დარეგისტრირებული 1 031 საწარმოდან ამ ეტაპზე მოქმედია 276 საწარმო, მათ შორის: 169 საწარმო – აშშ-ის კაპიტალით, 69 საწარმო – ქართულ-ამერიკული წილობრივი კაპიტალით, 6 საწარმო – ქართულ-ამერიკული და მესამე ქვეყნების წილობრივი კაპიტალით, 32 საწარმო – ამერიკული და მესამე ქვეყნების წილობრივი კაპიტალით. 2019 წლის სამი კვარტალის ჩაშლილი სტატისტიკა ცხადყოფს, რომ აშშ-დან ინვესტორები საქართველოში, ძირითადად, დაინტერესებულნი არიან უძრავი ქონებით, მშენებლობით, კავშირგაბმულობითა თუ სხვა დარგებით. 2013 წლის 26 ივლისს ხელი მოეწერა აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასა (MCC) და საქართველოს მთავრობას შორის 140-მილიონიან მეორე კომპაქტს. ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას ძლიერი პარტნიორობა აქვს საქართველოსთან, რომლის ფარგლებშიც ქვეყანაში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მხოლოდ მეორე კომპაქტის ფარგლებში პროექტები, რომლის კონკრეტული აქტივობებიც 2014 წელს დაიწყო, მიზნად ისახავდა განათლების ხარისხის გაუმჯობესებას სტრატეგიული ინვესტიციების მეშვეობით. მეორე კომპაქტის ფარგლებში გათვალისწინებული 54 მილიონი აშშ დოლარით საქართველოს რეგიონებში 91 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია და აღჭურვა მოხერხდა, რის შედეგადაც 39 000-მდე სკოლის მოსწავლისთვის გაუმჯობესდება სასწავლო გარემო.

20 ათასზე მეტმა განმანათლებელმა გაიარა პროფესიული განვითარების გრძელვადიანი კურსი, 51 ახალი პროფესიული განათლების პროგრამა შემუშავდა, განხორციელდა პროფესიული განათლების 10 დაწესებულების მოდერნიზება, გადამზადდა 473 მასწავლებელი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი, დაფინანსდა 27 მცირე პროექტი, ჯამური საგრანტო თანხით 510,447 აშშ დოლარი, რაც უდიდესი ინვესტიციაა. მეორე კომპაქტი მხოლოდ განათლებას ეხებოდა. სწორედ ასეთ ინვესტიციებს აქვს ტრანსფორმაციული ძალა. ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია, ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებელი, ინოვაციური მიდგომების მქონე სააგენტოა და ის განხორციელდა სსიპ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს“ მიერ, რომელსაც მართავდა სამეთვალყურეო საბჭო

„გამჭირვალე ფინანსური დახმარება საქართველოს“ ფარგლებში. ფონდი ღია საზოგადოება. საქართველოს სერია: ანგარიშები, ანალიზი, რეკომენდაციები. თბილისი, აპრილი, 2009

საქართველოს პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები იყვნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების (თავმჯდომარის მოადგილე), საგარეო, იუსტიციის, ფინანსთა საქმეთა მინისტრები. ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე, 140 მილიონი აშშ დოლარის კომპაქტის ფარგლებში განხორციელდა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების პროექტები, რამაც ხელი შეუწყო ადამიანური კაპიტალის გაძლიერებას საინჟინრო, ტექნოლოგიურ, საბუნებისმეტყველო სექტორებში და ეხებოდა ისეთ მოწყვლად ჯგუფებს, როგორიც არიან ქალები და სოციალურად დაუცველი პირები.

საინჟინრო და ტექნოლოგიურ სფეროებში მიღებული უკეთესი განათლების მქონე პროფესიონალები ხელს შეუწყობენ საქართველოში გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას. აღნიშნული მხარდაჭერა გამოხატავს აშშ–სა და საქართველოს შორის მტკიცე პარტნიორობასა და საქართველოს მოქალაქეების მიმართ თანადგომას. აშშ-ის სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი აშშ-ში აკრედიტებული ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებს სთავაზობს სტუდენტებს საქართველოში. ეს კი ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკისთვის პრიორიტეტულ დარგებში ადამიანური კაპიტალის განვითარებას. პროექტის შედეგად მოხდა საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საბუნებისმეტყველო, საინჟინრო და ტექნოლოგიური საგანმანათლებლო პროგრამების ამერიკული აკრედიტაცია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი სტუდენტებისთვის.

სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამას პირველი კურსდამთავრებულები 2019 წელს ჰყავდა. 2017-2018 წწ. შან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორ უნივერსიტეტებში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) ფონდმა რეაბილიტაცია ჩაუტარა და თანამედროვე აღჭურვილობით მოაწყო 4250კვ.მ. სასწავლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურა.

2017 წელს ფონდმა შეისყიდა 4.2 მლნ აშშ დოლარის უახლესი ლაბორატორიული აღჭურვილობა და სიმულატორები ფონდის მიერ დაფინანსებული პროფესიული განათლების 45 ახალი პროგრამისთვის.

2016-2018 წლებში ჩატარდა პროფესიული განათლების სამი ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია. 2017 და 2018 წლებში ჩატარდა „პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს“ ორი კონკურსი. ჯამურად, 17,699,819 აშშ დოლარი გამოიყო თანამედროვე, კონკურენტუნარიანი პროგრამების შექმნისთვის და ქვეყანაში პროფესიული ზრდისთვის. აქედან საგრანტო დაფინანსებას შეადგენდა 11,732,440 აშშ დოლარი, ხოლო კერძო და საჯარო სექტორის თანადაფინანსებას – 5,967,379 აშშ დოლარი. შერჩეული სკოლების რეაბილიტაცია განხორციელდა სამი – 2015, 2016 და 2017 – წლის სეზონების მიხედვით და საქართველოს ყველა რეგიონი მოიცვა.

პირველი სარეაბილიტაციო სეზონის დროს მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში 30-მდე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია მოხერხდა. სკოლების რეაბილიტაცია სპეციალურად შემუშავებული სტანდარტის მიხედვით მოხდა, რის მიხედვითაც გათვალისწინებული იყო გარემოს დაცვა, სოციალური ფაქტორები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების საჭიროებები, სასწავლო გარემოს გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვა და მისი მოვლა-პატრონობის სისტემის დანერგვა. გაიდლაინები კი, რომლებსაც ფონდი სკოლების რეაბილიტაციისას ეყრდნობა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეცა, რაც სახელმწიფოს შესაძლებლობას მისცემს, სურვილისა და ფინანსური შესაძლებლობის შემთხვევაში, სხვა სკოლების რეაბილიტაცია აღნიშნული სტანდარტების დაცვით წარმართოს.

პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციო სკოლების სია შერჩევის ორი ფაზის შედეგად განისაზღვრა. სკოლების შერჩევა – აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ დაქირავებული ამერიკული კომპანიის მიერ, მათი რეაბილიტაცია კი ერთიანი სტანდარტის მიხედვით მოხდა. პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციოდ, პირველ ეტაპზე სკოლები საქართველოს სკოლების ერთობლიობიდან (სულ 1692) შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით შეირჩა – მხოლოდ რეგიონების საჯარო სკოლები; სკოლები, რომლებსაც არ გააჩნდათ კონსტრუქციული პრობლემები და რომელთა რეაბილიტაციას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2014-2017 წლებში არ გეგმავდა. შერჩევის მეორე ეტაპზე კი იმ სკოლებს მიენიჭათ პრიორიტეტი, რომელთა შენობის კონსტრუქციაც მყარი იყო. გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა საერთო რაოდენობა, სოციალურად დაუცველ და ინკლუზიურ საგანმანათლებლო პროცესში ჩართულ მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებელი, ერთ მოსწავლეზე ფართის განაწილება, ასევე, ეთნიკური უმცირესობების სკოლები. გარკვეულწილად, ამერიკიდან შემოსულ შემოსავლად უნდა მივიჩნიოთ ტურიზმით მიღებული თანხებიც. გასათვალისწინებელია, რომ ამერიკელი ვიზიტორები საქართველოში ყველაზე მხარჯველები არიან და ათეულში პირველ ადგილს იკავებენ, საშუალო ხარჯით 1 ვიზიტზე – 4 115 ლარი. მხოლოდ 2019 წელს საქართველოში ამერიკელმა ვიზიტორებმა, დაახლოებით, 190 მილიონ ლარზე მეტი შემოიტანეს, რაც ამავე წელს მიღებული მთლიანი ტურისტული შემოსავლების 2.2%-ს აღემატება.

2015-2019 წლებში აშშ-დან შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ ჯამში 174 272 ვიზიტორი შეადგინა. 2019 წელს – 46 558 ვიზიტორი (11%-ით მეტი წინა წელთან შედარებით), 2018 წელს – 41 863 ვიზიტორი (25%-ით მეტი წინა წელთან შედარებით), 2017 წელს – 33 569 ვიზიტორი (23%-ით

მეტი წინა წელთან შედარებით), 2016 წელს – 27 304 ვიზიტორი (9%-ით მეტი წინა წელთან შედარებით), 2015 წელს – 24 978 ვიზიტორი (11%-ით მეტი წინა წელთან შედარებით), 2014 წელს კი – 22 545 ვიზიტორი (15%-ით მეტი წინა წელთან შედარებით).[1]

საქართველო-ამერიკის თანამშრომლობა არის მაგალითი ძლიერი პარტნიორობისა და იმისა, თუ როგორ დიდ სიკეთეს იღებს საქართველო ზესახელმწიფოსთან თანამშრომლობით. ყოველთვის შეიძლება ითქვას, რომ უცხოური სახელმწიფო ფონდები, რომლებიც ინტენსიურად მუშაობენ საქართველოში, და ქვეყნებს შორის ექსპორტ-იმპორტი თუ მოქალაქეთა მიმოსვლა ერთურთის სახელმწიფოში – ყოველივე ეს „რბილი ძალის" ერთ-ერთი აქტიური იარაღია, რომლის გამოყენებაც ყოველთვის შეიძლება საჭირო იდეოლოგიური და პოლიტიკური პლატფორმის შესაქმნელად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Kidder, D., *The Startup playbook.* San Francisco: Chronicle Books, 2013.
2. Kopp, Rochelle & Steven Ganz. *Valley Speak: deciphering the jargon of Silicon Valley*. Redwood City: Genetius Publishing. 2016.
3. Brewer, R., *Energy Flow in the Ecosystem*. Philadelphia: W. B. Saunders Company. 1979.
4. Yubas, M., *How to Get Funding for Your New Product Idea*, Published by Broadword Publishing, London. 2016,
5. Verdonik, J., *Crowdfunding Opportunities and Challenges*, (LULU Publishing SERVICES). 2016.
6. Salido, E., Mark Sabas. And Pedro Freixas, *The Accelerator and Incubator Ecosystem in Europe.* 2013.
7. Miller, P., Kirsten Bound, *The Startup Factories: The rise of accelerator programmes to support new technology ventures.* London: NESTA, 2011.
8. McKaskill, T., *An Introduction to Angel Investing: A guide to investing in early stage entrepreneurial ventures,* Australia. 2009.

ინტერნეტის ონლაინ წყაროები:

1. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. *NEWSLETTER წლის მნიშვნელოვანი ფაქტები, 2016.* [Accessed 5 Oct. 2020]. gita.gov.ge https://gita.gov.ge/res/docs/newsletter1.pdf

---

[1] საქსტატი: უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა საქართველოში 2019. https://www.geostat.ge/media/29372/ucxoel_vizitorTa_statistika_2019_GEO.PDF

2. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, *1995-2015 წლებში საქართველოსთვის უსასყიდლოდ გაწეული ფინანსური დახმარება,* 28 დეკემბერი, 2015. [Accessed 5 Oct. 2020]. დამოუკიდებლობა.GE http://damoukidebloba.ge/c/news/granti–saqartvelos–donorebisgan
3. *საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს დადგენილება №219. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიურად გამოქვეყნების შესახებ.* 27 აგვისტო, 2013. [Accessed 5 Oct. 2020]. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2001875?publication=0
4. საქართველოს პარლამენტი. *საქართველოს ორგანული კანონი საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ.* 14 დეკემბერი, 2006. [Accessed 5 Oct. 2020]. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29950?publication=2
5. საქართველოს პარლამენტი. *საქართველოს გრანტების შესახებ კანონი. 15 ივნისი, 2020.* [Accessed 5 Oct. 2020]. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/31510?publication=29
6. *ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობას შესანიშნავს უწოდებს.* 25 სექტემბერი, 2018 [Accessed 5 Oct. 2020]. GHN – საქართველოს ახალი ამბების სააგენტო https://ghn.ge/news/211796
7. *ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის ვიზიტი საქართველოში.* 27 სექტემბერი, 2016. [Accessed 5 Oct. 2020]. აშშ-ის საელჩო საქართველოში https://ge.usembassy.gov/ka/mcc-deputy-ceo-visit-georgia-september-27-2/
8. სალომე გორგოძე. *აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია ასამდე სკოლის რეაბილიტაციას აფინანსებს.* 13 ივნისი, 2016. [Accessed 5 Oct. 2020]. ლიბერალი http://liberali.ge/articles/view/23213/ashshis-atastsleulis-gamotsvevis-korporatsia-asamde-skolis-reabilitatsias-afinansebs
9. *ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დირექტორმა საქართველოსთან თანამშრომლობის გაღრმავების იმედი გამოთქვა.* 21 სექტემბერი, 2018. [Accessed 5 Oct. 2020]. M2B მედია ბიზნესისთვის https://m2b.ge/post/224743-ataswleulis-gamowvevis-korporaciis-direqtorma-saqartvelostan-tanamsromlobis-garmavebis-imedi-gamotqva
10. *ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოში განათლების სფეროს დაფინანსებას განაგრძობს.* 11 თებერვალი, 2018. [Accessed 5 Oct. 2020]. M2B მედია ბიზნესისთვის

https://m2b.ge/post/185720-ataswleulis-gamowvevis-fondi-saqartvelosi-ganatlebis-sferos-dafinansebas-ganagrzobs

11. ქართლოს შარაშენიძე (ამერიკის ხმა). *$ 4 348 400 000 – აშშ-ის ფინანსური დახმარება საქართველოს, 28 წლის განმავლობაში.* 28 ნოემბერი, 2019. [Accessed 5 Oct. 2020]. რადიო თავისუფლება
https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A8+%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A128%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98/30297454.html
12. Millennium Challenge Account – უმაღლესი განათლება, უმაღლესი განათლების პროექტი *„სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველო 2020.“* [Accessed 5 Oct. 2020]. MCAGEOGIA
http://www.mcageorgia.ge/index.php/main/read–project/3
13. *აშშ-ის 140 მილიონი დოლარის ინვესტიცია განათლების ყველა დონეზე ცვლილებებს ახორციელებს.* 1 აგვისტო, 2017. [Accessed 5 Oct. 2020]. IPN ინტერპრესნიუსი
https://www.interpressnews.ge/ka/article/445775-ashsh-is-140-milioni-dolaris-investicia-ganatlebis-qvela-doneze-cvlilebebs-axorcielebs
14. *ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის $140 მილიონი გრანტის შედეგების პრეზენტაცია გაიმართა,* 25 ივნისი, 2019. [Accessed 5 Oct. 2020]. NEWPOSTS
https://www.newposts.ge/?newsid=208393%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1,%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%96%E1%8%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90
15. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, *უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა საქართველოში 2019.* 14 თებერვალი, 2020. [Accessed 5 Oct. 2020]. საქსტატი
https://www.geostat.ge/media/29372/ucxoel–vizitorTa–statistika–2019–GEO.PDF
16. ოთარ ანგურიძე, შოთა გულბანი, ლუკა კურდღელია, მარიამ ლაშხი, დავით შატაკიშვილი, ვახტანგ ჭარაია. *ამერიკის შეერთებული შტატების*

როლი ქართულ ეკონომიკაში, თბილისი, მარტი, 2020. [Accessed 5 Oct. 2020]. sector3
https://sector3.ge/Libraries/Download/388

17. Cremades, A., *50 Angel Investors Based on Investment Volume and Successful Exits*, Forbes. 5 August, 2018. [Accessed 5 October, 2020], Forbes.
https://www.forbes.com/sites/mikesmerklo/2020/10/30/just-dont-do-it-five-reasons-not-to-become-an-entrepreneur/?sh=11e12dd65448
18. Graham, P., *Startup=growth.* Self-published online article, September 2012. [Accessed 5 Oct. 2020]. Paul Graham
http://www.paulgraham.com/growth.html
19. Millennium Challenge Account – *Georgia Monitoring and Evaluation Plan Compact II*, Version. January 3,2018.[Accessed 5 Oct. 2020]. MCAGEOGIA
http://www.mcageorgia.ge/cms/kcfinder/upload/files/ME%20Plan%20-%20GEOII%20-%20V3%20-%20Jan18.pdf
20. *Foreign Agents Registration Act.* [Accessed 5 Oct. 2020]. The United States department of justice https://www.fara.gov/
21. Kenton, W. *Crowdfunding*, Investopedia. 7 September, 2020. [Accessed 5 Oct. 2020], Investopedia.
https://www.investopedia.com/terms/c/crowdfunding.asp
22. KPMG enterprise, Venture plus Q4 2018. *Global analysis of venture funding.* 15 January, 2019. [Accessed 5 Oct. 2020], KPMG enterprise.
https://assets.kpmg/content/dam/kpmg/xx/pdf/2019/01/kpmg-venture-pulse-q4-2018.pdf

Georgian-American relations seen in numbers between 2014-2019

Tamar Shengelaia

Doctoral Student, Ivane Javakhishvili Ybilisi Sttae University

Abstract

Georgia is a reliable pillar for the USA in the region as a development-oriented country. The article highlights the current situation in Georgia in terms of the delivery of American grants and the importance of the USA contribution to the Georgian grant market in financing Georgia, discusses the benefits seen in the numbers of the USA government-funded projects, assesses the current environment and the transparency of the activities carried out by the foundations. Sometimes the activities of grant-making organizations contradict with the fundamental interests or values of the grant-provider founda-

tions and the grant is squandered in vain. So special additional mechanisms and researches are necessary to be conducted for the reasons to find out how clearly are carried out the policies of foundations and their overall activities and if there exists a question mark about the granted organization's work?!

Puepose of the given article is to study the current realities and challenges of grant-making organizations recently, specifically from 2014-2019 and show the latest experiences to Georgia based on the best international practices. It is strategically important to strengthen democratic tools and institutions in order to have appropriate mechanisms to respond to the challenges in Georgia. Proper approaches unequivocally ensure a high standard of transparency and create opportunities for effective monitoring.

All of the above-mentioned gives all stakeholders opportunities to receive and disseminate information based on objective facts and draw sound conclusions. America supports and recognizes Georgia's territorial integrity or sovereignty, our country's aspirations towards the European Union and the Euro-Atlantic space.